საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030197172242420

№ 01-346/ო **16 / ივლისი / 2020 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის, პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის, ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად, კანდიდატებისათვის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და საკონკურსო თემატიკის დამტკიცების თაობაზე

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესი“-ს მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

მუხლი 1. დამტკიცდეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის, პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის, ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისათვის, დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები და საკონკურსო თემატიკა თანდართული დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამპადასმულია
ელექტრონულად

ეკატერინე ტიკარაძე

„დანართი“

შიდა აუდიტის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის, პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის, ვაკანტური თანამდებობის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები და საკონკურსო თემატიკა

1. შიდა აუდიტის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის, პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისათვის დადგენილია შემდეგი დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) **უმაღლესი განათლება** - სამართალი;

ბ) **სამუშაო გამოცდილება** - საჯარო სამსახურში ინსპექტირების ან/და კონტროლის მიმართულებით მუშაობის არანაკლებ - 2 წლის გამოცდილება;

გ) კომპიუტერული პროგრამების (MS office Word, Excel, Power Point და Outlook) კარგ დონეზე ცოდნა.

2. შიდა აუდიტის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის, პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისათვის დადგენილია შემდეგი საკონკურსო თემატიკა:

ა) „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი;
ბ) საქართველოს შრომის კოდექსი;
გ) „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონი;
დ) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონი;
ე) „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონი;
ვ) „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N473 დადგენილება.